ხელშეკრულება № 20
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 09 მარტი, 2022 წელი

ერთის მხრივ, *ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი"* (შემდგომში–შემსყიდველი), დირექტორის ანა დათუაშვილის სახით და მეორეს მხრივ *შპს „ელექტრონი"* (შემდგომში–მიმწოდებელი) დირექტორის ჯემალ ხადურის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე–3 მუხლის I პუნქტის „ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შედუღება" სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისთვის შედუღებისთვის საჭირო მასალების** შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

№	საქონლის დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა და განზ. ერთ	ერთ.ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
1	MIG/MAG შედუღების კოჭა ალუმინის შესადუღებლად	44315200	2 ცალი	175	350
2	MIG/MAG შედუღების სანთურის შესასხურებელი	44315200	2 ცალი	20	40
3	TIG შედუღების მისართი მავთული ფოლადის D -2 მმ	44315200	408 ცალი	0.80	326.40
4	TIG შედუღების მისართი მავთული ალუმინის D -2 მმ	44315200	400 ცალი	0.80	320
5	შედუღების თვითდაბურვადი ფარი (ქამელონი)	44315100	2 ცალი	210	420
	სულ:				*1456.40*
6	ვოლფრამის უდნობი ელექტროდები (ლურჯი) D -1.6 მმ	31711140	10 ცალი	8	80
7	ვოლფრამის უდნობი ელექტროდები (ლურჯი) D -2.0 მმ	31711140	10 ცალი	12	120
	სულ:				*200*
	ჯამი სულ:				***1656.40***

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით.

3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა ***1656.40*** *(ერთი ათას ექვსას ორმოცდა თექვსმეტი და 40 თეთრი)* ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო.

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენას შემსყიდველისათვის

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.3.ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის (კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერების ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის) დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.2. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ კოლეჯის განთიადი პროფესიული განათლების მასწავლებელი (შესაბამისი სპეციალობის მიხედვით) ჯემალ საური.
14.2.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება გულისხმობს შესყიდვის ობიექტის რაოდენობის/მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
14.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლისთვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. თუ შემსყიდველი ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, ის/მათ შრომის ანაზღაურებასა და ხარჯებს უზრუნველყოფს თავად შემსყიდველი.
14.4 ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრება მიმწოდებელს.
14.5 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ კოლეჯის ,,განთიადი" ლოჯისტიკის მენეჯერი ვაჟა ხადური.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, დამოწმებულია/დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი"	*,,მიმწოდებელი"*
ა(ა)იპ კოლეჯი ,,განთიადი"	შპს ,,ელექტრონი"
მისამართი - ქ. გორი,ბესიკის ქ. № 2 საიდენტიფიკაციო კოდი -217890192 საბანკო რეკვიზიტები: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა: ხაზინის ერთ. ანგარიში მიმღების ანაგრიში/სახაზინო კოდი:709177279 ბანკის კოდი: TRESGE22 ტელ: 577 95 73 33	მისამართი, ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო საიდენტიფიკაციო კოდი - 208218132 საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE45BG0000000222023300 ტელ: 0322 91 11 21; 595 52 25 40
დირექტორი	დირექტორი
ანა დათუაშვილი _____	ჯემალ ხადური _____

Jemal Khaduri

Подписано цифровой подписью: Jemal Khaduri
Дата: 2022.03.09 16:54:53 +04'00'

ა(ა)იპ კოლეჯი „გ ა ნ თ ი ა დ ი“

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გორი *09 მარტი, 2022 წელი*

ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორი და შესყიდვების მენეჯერი ვადასტურებთ, რომ **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შედუღება“ სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისთვის შედუღებისთვის საჭირო მასალების** შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“–ს მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, მიმწოდებლის შპს *„ელექტრონი“* - ს მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

დირექტორი

ანა დათუაშვილი

შესყიდვების მენეჯერი

დიანა შემშენოვი